

შპს „გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი“

დამტკიცებულია

რექტორის მიერ

ბრძანება № 01-01/12 28 თებერვალი 2011 წ.

სასწავლო განყოფილების  
დებულება

თბილისი  
2011 წ.

## მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

- 1.1 „გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი“-ს (შემდგომში „უნივერსიტეტი“) სასწავლო განყოფილება (შემდგომში „განყოფილება“) წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულს.
- 1.2. აღნიშნული დებულება განსაზღვრავს განყოფილების სამართლებრივ სტატუსს, ფუნქციებსა და ამოცანებს, მართვის ორგანიზაციას და სტრუქტურას, აგრეთვე განყოფილების საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა ურთიერთობებს.
- 1.3. „გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი“-ს სასწავლო განყოფილება თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონით, უნივერსიტეტის შინაგანაწესით, ამ დებულებით და უნივერსიტეტში მოქმედი სხვა აქტებით.

## მუხლი 2. სასწავლო განყოფილების ძირითადი ამოცანები და ფუნქციები

2.1. სასწავლო განყოფილების ძირითადი ამოცანაა სასწავლო პროცესის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად წარმართვისა და კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადების პროცესისათვის ხელშეწყობა და სასწავლო პროცესის ორგანიზაციული უზრუნველყოფა.

2.2. განყოფილების ფუნქციებია:

- ა) სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და შედეგების ანალიზი, სასწავლო პროცესის ოპტიმალურად წარმართვისათვის აუცილებელი რეკომენდაციების შემუშავება;
- ბ) ECTS კრედიტებთან სასწავლო გეგმის შესაბამისობის კონტროლი;
- გ) დისციპლინების დაგეგმვის მეთოდულ კაში მონაწილეობა;
- დ) სტუდენტთა დატვირთვის ECTS მოთხოვნებთან შესაბამისობის კონტროლი;
- ე) სტუდენტთა მობილობის პროცესში მონაწილეობის მიღება (კრედიტების შესაბამისობა და აღიარება, სპეციალური ფორმების შევსება–მოწესრიგება);
- ვ) უნივერსიტეტის კათედრების/პროგრამული მიმართულებების სასწავლო გეგმებისა და პროგრამის მეთოდური განხილვა;
- ზ) აკადემიური კალენდრის შედგენა და მისი დაცვის კონტროლი, კორექტირება, რეგულირება;
- თ) სასწავლო ცხრილების შედგენა;
- ი) სტუდენტთათვის ინდივიდუალური სასწავლო გრაფიკის შედგენა უნივერსიტეტში მოქმედი წესების საფუძველზე;

- კ) არჩევით დისციპლინებზე სტუდენტთა რეგისტრაციის უზრუნველყოფა და შესაბამისი სასაწავლო ცხრილების შედგენა;
  - ლ) სასწავლო პროცესის განხორციელების ორგანიზაციული უზრუნველყოფა;
  - მ) განათლების და მეცნიერების სამინისტროს, აგრეთვე განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის რეკომენდაციების/მასალების მუდმივი გათვალისწინება სასწავლო პროცესის წარმართვის სრულყოფისათვის;
  - ნ) მონაწილეობა პროფესორ-მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვის განსაზღვრაში ფაკულტეტების მიერ წარდგენილი დოკუმენტაციის და სასწავლო გეგმების საფუძველზე.
- 2.3. სასწავლო განყოფილება უფლებამოსილია გამოითხოვოს უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულებისაგან მისი ფუნქციების შესრულებისათვის საჭირო აუცილებელი ინფორმაცია და დოკუმენტაცია.
- 2.4. განყოფილება უფლებამოსილია კომპეტენციის ფარგლებში მიიღოს ზომები აღმოჩენილი დარღვევებისა და ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

### **მუხლი 3. სასწავლო განყოფილების მართვა და სტრუქტურა**

- 3.1 უნივერსიტეტის სასწავლო განყოფილებას ხელმძღვანელობს განყოფილების უფროსი რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს რექტორი. უფროსის არყოფნის შემთხვევაში მის ფუნქციებს ახორციელებს განყოფილების მთავარი სპეციალისტი;
- 3.2 განყოფილება თავის საქმიანობაში ანგარიშვალდებულია რექტორის, რექტორის მოადგილის და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წინაშე;
- 3.3. განყოფილებაში არის ორი საშტატო თანამდებობა: განყოფილების უფროსი და განყოფილების მთავარი სპეციალისტი.
- 3.4. განყოფილების უფროსი:
- ა) აძლევს მითითებებსა და დავალებებს მთავარ სპეციალისტს;
  - ბ) ახორციელებს 2.2. მუხლით დადგენილ ფუნქციებს.
- 3.5. განყოფილების მთავარი სპეციალისტი:
- ა) ასრულებს განყოფილების უფროსის მითითებებსა და დავალებებს;
  - ბ) განყოფილების უფროსის დავალებით შეუძლია განახორციელოს 2.2. მუხლით დადგენილი ფუნქციები;

### **მუხლი 4. დასკვნითი დებულებები**

სასწავლო განყოფილების დებულების გაუქმება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა და დამტკიცება ხორციელდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით.